საიდ. N83218/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N70-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა გიორგი ზაუტაშვილის N70-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 30 მარტის N694/03 ბრძანების ბათილად ცნობა და კომბინირებული სასაქონლო ნიშნის „DARI ALI“ (საიდ. N83281/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 30 მარტის N694/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „DARI ALI“ (საიდ. N83281/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან იგი მსგავსია საქპატენტში ს.ს. „ლომისი“-ს სახელზე რეგისტრირებული, ქართული ანბანითა და კირილიცაზე შესრულებული სასაქონლო ნიშნისა „დარიალი ლუდი ПИВО ДАРЬЯЛ“ (რეგ. N150681, რეგ. თარიღი: 28/03/2003). დაპირისპირებული ნიშნები აღრევამდე მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ორივე ნიშნის ჩამონათვალი არის ალკოჰოლიანი სასმელი და მათი გასაღების ადგილი ერთია. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „DARI ALI“ (საიდ. N83281/03) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი გიორგი ზაუტაშვილი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის „DARI ALI“ (საიდ. N83281/03) რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები კომბინირებულია და სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს გამოსახულებით ნაწილსაც. ამასთან, ნიშნების გამოსახულებითი ნაწილები განსხვავდება ერთმანეთისაგან. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ნაწილები ვიზუალური თვალსაზრისით განსხვავებულია, თუმცა არსებობს გარკვეული სახის მსგავსება სიტყვა „დარიალთან“ მიმართებით. აღნიშნული მსგავსება არ უნდა იყოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან „დარიალი“ წარმოადგენს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას - დარიალის ხეობა, მდინარე თერგის ხეობის ანტეცედენტური მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობისთვის საყოველთაოდ ცნობილ ტერიტორიულ ერთეულს. აპელანტის მითითებით, დარიალი არ არის რაიმე პატარა, უცნობი ადგილი, რომელიც შეიძლება მხოლოდ რომელიმე კუთხის ან რეგიონის მოსახლეობისათვის იყოს ცნობილი, არამედ იგი კარგად ცნობილია საქართველოს მოსახლეობისათვის, მათ შორის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან. შესაბამისად, სიტყვა „დარიალი“ არ უნდა იყოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტი.

აპელანტის განმარტებით, რადგან დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვიერ ელემენტს „დარიალი“ არ აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა, ხოლო ნიშნების გამოსახულებითი ნაწილები სრულიად განსხვავებულია, აღნიშნული გამორიცხავს ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ქართული ანბანით, ასევე კირილიცაზე და პირდაპირ მიბმულია ლუდზე.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განცხადებულია საქონლის სხვადასხვა ჩამონათვალის მიმართ. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 33-ე კლასის საქონლის

ჩამონათვალის მიმართ, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტმა სააპელაციო პალატაში საქმის განხილვის დროს შემდეგნაირად შეზღუდა 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი: „ღვინო“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 30 მარტის N694/03 ბრძანების ბათილად ცნობას და კომბინირებული სასაქონლო ნიშნის „DARI ALI“ (საიდ. N83281/03) რეგისტრაციას 33-ე კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „ღვინო“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N70-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ამასთან,

ნიშნების შედარებისას მხედველობაში მიიღება ნიშნის დაცვისუნარიანი და დომინანტი ელემენტები.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი

(საიდ. N83281/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი (საიდ. 24475/03, რეგ. თარიღი: 28.03.2003) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს გამოსახულებას. ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „DARI ALI“ შესრულებულია თეთრ ფერში, სტანდარტული ასომთავრული ლათინური ასოებით. გამოსახულებით ნაწილს წარმოადგენს კლდეების მსგავსი გამოსახულება, რომელზეც დატანილია ორნამენტები და მამაკაცების კომპოზიციური გამოსახულება. ნიშნის დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „DARI ALI“.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია. ნიშნის სიტყვიერ ნაწილი „დარიალი ლუდი ПИВО ДАРЬЯЛ“ შესრულებულია სტილიზებული ქართული ასოებით, ასევე კირილიცაზე. ნიშნის გამოსახულებით ნაწილს წარმოადგენს კასრის, ხორბლის და ხარის გამოსახულებები. ნიშანი იმგვარადაა შესრულებული, რომ მისი დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „დარიალი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე დაპირისპირებულ ნიშანში დომინანტი ელემენტია მათი სიტყვიერი ნაწილები. კერძოდ, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ნაწილი „DARI ALI“, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში - სიტყვიერი ელემენტი „დარიალი“, რომლებიც აღრევამდე მსგავსია, რაც ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სიტყვიერი ნაწილი „დარიალი“ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას, ვიანიდან იგი არ წარმოადგენს გეოგრაფიულ ან ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულის დასახელებას.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან ნიშნების დომინანტი ელემენტები მომხმარებლის მიერ იდენტურად გამოითქმის: „დარიალი“.

მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ნაწილები განსხვავებულია, დომინანტი ელემენტების მსგავსების გათვალისწინებით, აღნიშნული ვიზუალური განსხვავება დაპირისპირებულ ნიშნებს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან, ნიშნები იდენტურია მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით.

ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ღვინო“. ხოლო, დაპირისპირებული

სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათალი ერთგვაროვანია და მოიცავს ალკოჰოლურ სასმელებს. ამასთან, ორივე სასაქონლო ნიშნით ნიშანდებულ საქონელს აქვს ერთი და იგივე რეალიზაციის ადგილი, რაც ზრდის ნიშნებს შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების დომინანტი ელემენტები და საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც დაპირისპირებული ნიშნები მოახდენენ მომხმარებელზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გიორგი ზაუტაშვილის N70-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 30 მარტის N694/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა,

სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	თ. ჯაფარიძე
	ს. ებრალიძე